ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3595058

ნომერი: AR1541155

თარიღი : 16.09.2017

გაცემის თარიღი : 06.10.2017

გაცნობის თარიღი : 06.10.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , N 33 / ქალაქი თბილისი , წყნეთის გზატკეცილი N33 / ქალაქი თბილისი , ბაგები, წყნეთის გზატკეცილი N31-33;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მჭედლიშვილი პ/ნ 01007001686
- წერეთლის გამზირი 71, ბ.24

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი ხელმეორედ განხილვაზე შემოსული 2017 წლის 16 სექტემბრის AR1541155 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის მიერ 2015 წლის 7 აგვისტოს №1360864 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას.

განცხადებაზე წარმოდგენილი მასალის მიხედვით სამსახურისთვის ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით ვერ საბუთდება საპროექტო არეალის ამდენად გაზრდის შედეგად, პირვანდელი დოკუმენტის გავრცელების მიზანშეწონილობა. ძირითად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შესაძლებელია პირვანდელ რეგისტრაციაზე მაქსიმუმ ერთხელ გადამეტებული არეალის დაფიქსირება. ამიტომ უმჯობესია მოხდეს გაერთიანების შედეგად მიღებული მიწის ნაკვეთის კვლავ გამიჯვნა, ზემოთაღნიშნული მაჩვენებელების დაცვის პირობით. სხვა შემთხვევაში, ირღვევა ის ქალაქგეგმარებითი მახასიათებლები, რომელიც საფუძვლად უდევს საწყის დოკუმენტს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.